ა. ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოება

A. Zurabashvili Society of
Georgian Psychiatrists

N 08/2020 24.03..2020

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,
შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

მოგახსენებთ, რომ ფსიქიკურ ჯანდაცვაში მომუშავე კლინიცისტებისა და ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისის მენეჯერების ფართო ჩართულობით შემუშავდა რამდენიმე რეკომენდაცია და მოსაზრება, რაც კორონავირუსის გავრცელების შენელებას შეუწყობს ხელს.
ამ რეკომენდაციების განხორციელებისთვის და სერვისების კოორდინირებული მუშაობისთვის სამინისტროს ხელშეწყობა აუცილებელია, ვინაიდან მუშაობის ახალი სტილი შესაძლოა გარკვეულ წინააღმდეგობაში მოვიდეს არსებულ რეგულაციებთან.

რეკომენდაციები სტაციონარგარეშე სერვისებისთვის (ამბულატორია და მობილური გუნდი):

1. გაფართოვდეს სატელეფონო კონსულტაციები;
2. მედიკამენტურ რემისიაში მყოფ პაციენტებს მედიკამენტები მიეწოდოს 2 ან 3 თვის მარაგით;
3. შეძლებისდაგვარად, ვიზიტები განხორციელდეს წინასწარი ჩაწერით;
4. ჩატარდეს დაწესებულებების დეზინფიცირება;
5. სათანადოდ აღიჭურვოს მედპერსონალი და ჩაუტარდეთ შესაბამისი ტრენირება;
6. შეიზღუდოს სამუშაო საათები;
7. ხელი შეეწყოს ბინაზე ვიზიტებისთვის პერსონალის სატრანსპორტო საშუალებით უზრუნველყოფას;
8. მომზადდეს პაციენტებისთვის საინფორმაციო ბუკლეტები კორონავირუსთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იქნება, თუ ვის უნდა მიაკითხონ დაინფიცირების შემთხვევაში;

რეკომენდაციები სტაციონარებისთვის:

1. ჩაუტარდეთ დამატებითი ინსტუქტაჟი და ტრენირება სტაციონარში მომუშვე მედპერსონალს ახლადშემოსული პაციენტის იზოლირების წესების დაცვასთან დაკავშირებით.

მისამართი: თბილისი, 0153, იპოლიტოვ-ივანოვის ქ. N 43
ტელეფონი: +995032 265 38 28
ელ-ფოსტა: geopsysociety@gmail.com

2. გასათვალისწინებელია, რომ ინფრასტრუქტურული პრობლემების გამო, ბევრ ფსიქიატრიულ სტაციონარს არ აქვს ახლადშესული პაციენტის სრულად იზოლირების პირობები. შესაძლოა, საჭირო გახდეს ეპიდემიოლოგებისა და ინფექციონისტების მხრიდან დამატებითი რეკომენდაციების შემუშავება ასეთი დაწესებულებებისთვის.

აღნიშნული რეკომენდაციების განხორციელებისთვის აუცილებელია:

1. გადაიხედოს სერვისების გლობალური ბიუჯეტით თვიური დაფინანსების პრიციპი და მედიკამენტებისთვის 35%-იანი თვიური ბიუჯეტის მაგივრად განისაზღვროს წლიური 35%-იანი ბიუჯეტი.
2. გამარტივდეს მედიკამენტებისა და სხვა აღჭურვილობის შესყიდვის წესი კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.
3. სახელმწიფო დაწესებულებებს მიეცეს უფლება, რომ შეისყიდონ მეორადი ავტომობილები. სამწუხაროდ, ამჯერად მხოლოდ ახალი ავტომობილის ყიდვის უფლება აქვთ სერვისებს, რაც მნიშნელოვნად ართულებს და აძვირებს სატრანსპორტო საშუალებების შეძენას ბინაზე ვიზიტებისთვის.
4. მოხდეს მედპერსონალისთვის ტრენინგების უზრუნველყოფა.
5. ორგანიზება გაეწიოს ფსიქიკური ჯანდაცვის სპეციალისტების და ინფექციონისტებისა და ეპიდემიოლოგების კოორდინირებულ მუშაობას.

პატივისცემით,
ა.ზურაბაშვილის სახელობის
საქართველოს ფსიქიატრთა
საზოგადოების თავმჯდომარე /ეკა ჭყონია/